ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3695347

ნომერი: AR1554832

თარიღი : 06.11.2017

გაცემის თარიღი : 21.11.2017

გაცნობის თარიღი : 21.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 , (ნაკვ.29/17) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , და უშიშროების აკადემიასთან ჩასახვევი გზის გადაკვეთასთან/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , მიმდებარედ (ნაკვეთი 29/106);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა გელაშვილი პ/ნ 57001003308
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღომის მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 11, ბინა 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანი თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 6 ნოემბრის AR1554832 განცხადებით მომართა შპს „ნიკე 2009“-ის მინდობილმა პირმა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #130201191) მამუკა გელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის

№2296229 ბრძანებით, #01.11.05.029.215 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ (საცხოვრებელი ზონა–6 (სზ–6) და სარეკრეაციო ზონა–2 (რზ–2)) მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე სავაჭრო შენობა ნაგებობა) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას კერძოდ: ფუნქციური ზონის (ზონები): – გრაფაში: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)–ის ნაცვლად მხოლოდ საცხოვრებელი ზონის 6 (სზ–6)–ის დაფიქსირება.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის #18–65 დადგენილებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე(ს.კ. #01.11.05.029.215შეიცვალა ფუნქციური ზონები და განისაზღვრა მხოლოდ: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6);
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 2017 წლის 6 ნოემბრის AR1554832 განცხადების დაკმაყოფილება და 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციური ზონის (ზონები): – გრაფაში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6);
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან აღებულ იქნეს შემდეგი ჩანაწერები: 1) I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ – ფუნქციური ზონის (ზონები): – გრაფაში ამოვარდეს ჩანაწერი: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2); 2) გაფრთხილების გრაფიდან ამოვარდეს ცანაწერი: დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა-ნაგებობა განთავსდეს ზოგადი საცხოვრებელი ზონის არეალში(იხ. დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.